საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2693 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, მოვლის საშუალებების, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულების 3 (სამ) წლამდე ასაკის ბავშვების მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, საკვები პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამისათვის „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი: 27 01 02) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლისა და მოვლის საშუალებების, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულების 3 (სამ) წლამდე ასაკის ბავშვების მედიკამენტების,

სამედიცინო დანიშნულების საქონლის, საკვები პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა 2018 წლის განმავლობაში, არა უმეტეს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი